ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 2
- „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 7
- ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 9
- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 10
- ,,ინოვაციების შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 13
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები 15
- „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები
- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 17
- „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები 18
- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 20
- „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 21
- „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 22
- ,,ნარჩენების მართვის კოდექსში'' განხორციელებული ცვლილებები 23
- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებები
- ,,საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში'' განხორციელებული ცვლილებები 25
- ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები
- „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 26

„2025 წლის 5 აგვისტოს მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და ანალიზი არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

1. ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 26 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის საფუძველზე „შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონში (შემდგომში ,,კანონი") მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რომელთა უმეტესობა ამოქმედდება 2026 წლის 1-ლი მარტიდან.

განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოცემული ცვლილებები ემსახურება საქართველოში მიგრაციის პროცესების რეგულირებისა და მართვის უკეთესი მექანიზმების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფს არალეგალური მიგრაციული ნაკადების შემცირებას, საქართველოში შრომითი მიგრაციის პროცესების ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევასა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას. წარმოდგენილი კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ახალ შრომითი საქმიანობის უფლების სისტემას, მისი აღსრულებისთვის საჭირო მექანიზმებსა და შესაბამისი პასუხისმგებლობის ნორმებს.

საყურადღებოა, ის გარემოებაც, რომ მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრება შიდა შრომითი რესურსების დაცვა. იმ ეკონომიკურ სექტორებში, სადაც დაფიქსირდება სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდება, უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებას. უცხოელი პირების დასაქმება შესაბამისი რეგულაციების ფარგლებში შეიზღუდება, რათა არ მოხდეს ადგილობრივი დასაქმებულების შესაძლებლობების შეზღუდვა.

კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, 2026 წლის 1-ლი მარტიდან ამოქმედდება ,,თვითდასაქმებული უცხოელის'' ცნება. თვითდასაქმებულ უცხოელად განისაზღვრა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელი, რომელიც საქართველოში ახორციელებს შრომით საქმიანობას, მათ შორის, არის ვაჭრობის, მომსახურების ან სხვა ტიპის საქმიანობის განმახორციელებელი ან პარტნიორი, დამოუკიდებელი კონტრაქტორი ან სხვაგვარად არის ჩართული სამეწარმეო/შრომითი საქმიანობის პროცესში და ამ საქმიანობის მიზანი ფინანსური სარგებლის მიღებაა.

საინტერესოა, რომ აღნიშნული ცვლილებების ამოქმედებამდე, კანონი არ ვრცელდება თვითდასაქმებულ პირებზე. ამ მხრივ, იგი არეგულირებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ უცხოელთა შრომითი მოწყობის საკითხებს.

ცვლილებების მიხედვით, თვითდასაქმებული უცხოელის მიერ შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას მინიჭებული ექნება საქართველოში

შრომითი საქმიანობის უფლება და ამასთანავე, შრომითი ბინადრობის ნებართვა, D1 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზა ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე სხვა სახის ბინადრობის ნებართვა.

ამასთანავე, გაფართოვდა შრომითი იმიგრანტის ცნება. კერძოდ, ცვლილებების თანახმად, შრომითი იმიგრანტად მიიჩნევა:

- უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც არ აქვს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა და სურს დასაქმდეს ადგილობრივ დამსაქმებელთან ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად;
- უცხოელი რომელიც ქართველ დამსაქმებელთან დისტანციურ შრომით ურთიერთობაშია;
- თვითდასაქმებული უცხოელი, რომელიც ახორციელებს შრომით ან სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში მუდმივი ბინადრობის გარეშე.

შრომითი იმიგრანტის ცნება აღარ გავრცელდება მხოლოდ და მხოლოდ იმ უცხოელებზე, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან ფიზიკურად, არამედ, იგი ასევე მოიცავს დისტანციურად დასაქმებულ უცხოელებსაც.

,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ერთ-ერთ საინტერესო სიახლეს წარმოადგენს მომსახურების ორგანიზატორის ცნების განსაზღვრა. საყურადღებოა, რომ მსგავსი ჩანაწერი კანონში ცვლილებებამდე არ გვხვდებოდა. ცვლილებების თანახმად, მომსახურების ორგანიზატორი გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ასევე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე რეგისტრირებულ თუ არარეგისტრირებულ წარმონაქმნს, რომელიც შედის ნებისმიერ გარიგებაში თვითდასაქმებულ უცხოელთან და რომლის შედეგადაც ეს უკანასკნელი იღებს ფინანსურ სარგებელს.

მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებების შესაბამისად, უცხოელის მიერ შრომითი/დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის (როგორც საქართველოში ისე დისტანციურად) სავალდებულო ხდება შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან.

შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი დამსაქმებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთ უფლებას ითხოვს თვითდასაქმებული უცხოელი. პროცედურულად, უფლების მოპოვების თაობაზე მიმართვა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროსადმი, თუმცა წარსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა ჯერ-ჯერობით განსაზღვრული არ არის. მოცემული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ცვლილებების ამოქმედებამდე (2026 წლის 1 მარტი) უნდა განისაზღვროს.

შრომითი საქმიანობის უფლების მინიჭების (ასევე მოქმედების ვადის გაგრძელების) თაობაზე განცხადების განხილვისთვის განსაზღვრულია მაქსიმუმ 30 კალენდარული დღე. ამასთან, განცხადების განხილვის მაქსიმალურ საფასურად დადგენილია 500 ლარი. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, განაცხადის განხილვის პროცესში ადგილობრივ დამსაქმებელს/თვითდასაქმებულ უცხოელს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ან/და მიმდინარე პროცესში გამოვლენილი უზუსტობის აღმოფხვრა.

კანონით, შრომითი საქმიანობის უფლება არ არის ზოგადი ხასიათის და გაიცემა:

- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იმიგრანტის შემთხვევაში - კონკრეტულ ადგილობრივ დამსაქმებელთან მუშაობის უფლებით; ან
- თვითდასაქმებულის შემთხვევაში - კონკრეტული სპეციალობისა და შრომითი/სამეწარმეო სფეროს მითითებით.

ადმინისტრაციული ორგანო, რიგ შემთხვევებში უფლებამოსილია, არ გასცეს შრომითი საქმიანობის უფლება, როდესაც:

- არასრულყოფილად არის წარდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და იგი ხარვეზის დადგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში იგი არ გამოსწორდება;
- შრომითი საქმიანობის ვადის გაგრძელების მოთხოვნის შემთხვევაში - თუ დაცული არ არის მიმართვის ვადები;
- უცხოელის პროფესია/კვალიფიკაცია და პოზიცია არ შეესაბამება საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საჭიროებებს ან არის იმ პროფესიებისა და სპეციალობების ჩამონათვალში, რომელზეც უცხოელის დასაქმება შეზღუდულია საქართველოს მთავრობის მიერ. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია, რომ პოზიცია/კვალიფიკაციის და პოზიციის საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან საჭიროების სტანდარტს კანონი არ განმარტავს, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ამ ნაწილში ფართო დისკრეციას ანიჭებს; ნორმაში მითითებული ჩამონათვალის შედგენა წარმოადგენს მთავრობის პასუხისმგებლობას, თუმცა, შრომითი მიგრაციის მიზნებისთვის, ასეთი ნუსხა ჯერჯერობით არ განსაზღვრულა;

- დაწყებულია უცხოელის გაძევების საკითხის განხილვა / მიღებულია გაძევების გადაწყვეტილება.

გასათვალისწინებელია, რომ შრომითი საქმიანობის გაცემაზე უარის გასაჩივრება შესაძლებელია პირდაპირ სასამართლოში, შესაბამისი გადაწყვეტილების გაცნობიდან 1 თვის ვადაში. თუმცა, გასაჩივრება არ წარმოშობს:

- უცხოელის საქართველოში საქმიანობის უფლებას;
- საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების საფუძველს და
- არ აფერხებს უცხოელის გაძევების საკითხის განხილვას ან/და გაძევების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

უცხოელს, რომელსაც შესაბამისი უფლების გაცემაზე თუ გაგრძელებაზე უარი ეთქვა ან შრომითი საქმიანობის უფლება ვადაზე ადრე შეუწყდა, უფლება აქვს, განცხადება განმეორებით წარადგინოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან არანაკლებ 1 თვის შემდეგ.

შრომითი მიგრაციის შესახებ კანონით, შრომითი საქმიანობის უფლების შეწყვეტის საფუძველი წარმოიშობა თუ:

- ადგილობრივ დამსაქმებელთან დადებული ხელშეკრულების ვადა ამოიწურება ან ვადაზე ადრე შეწყდება;
- თვითდასაქმებული უცხოელი საქართველოს საზღვრებს 6 თვეზე მეტი პერიოდით დატოვებს;
- D1 (სამუშაო/საიმიგრაციო) კატეგორიის ვიზას მოქმედების ვადა გაუვა ან სხვაგვარად შეწყდება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უცხოელს მოქმედი ბინადრობის ნებართვა აქვს);
- ბინადრობის ნებართვას მოქმედების ვადა გავიდა ან შეწყდა;
- შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების შემდგომ, არც D1 კატეგორიის ვიზა და არც ბინადრობის ნებართვა არ მოითხოვა შრომითმა იმიგრანტმა.
- შრომით იმიგრანტს, D1 კატეგორიის, ან შესაბამისი ბინადრობის ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა;
- უცხოელის გაძევების შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული;

შრომითი საქმიანობის უფლების მინიჭებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შრომითი იმიგრანტი ვალდებულია:

- 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მოითხოვოს D1 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზა (თუ ჯერ არ იმყოფება საქართველოში), ან
- 10 კალენდარული დღის განმავლობაში, მოითხოვოს შრომითი ბინადრობის ან ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში დასაქმებული პირის ბინადრობის

ნებართვა (თუ საქართველოში იმყოფება).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება არ არის სავალდებულო, თუ უცხოელს მინიჭებული და მოქმედი აქვს რომელიმე სახის ბინადრობის ნებართვა; ან იგი შრომით საქმიანობას ახორციელებს სრულად დისტანციურად და ეს საქმიანობა მის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას არ საჭიროებს. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის „საჭიროება“ არ არის ცვლილებების შესაბამისად განმარტებული.

რაც შეეხება ცვლილებებით გათვალისწინებულ, ადგილობრივი დამსაქმებლის ვალდებულებებს, მას წარმოეშობა ინფორმირების ვალდებულება. კერძოდ, იგი ვალდებულია შრომით იმიგრანტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის ან შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია ასახოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში, 5 კალენდარული დღის ვადაში;

ამასთანავე, თუ ადგილობრივ დამსაქმებელს სურს შრომითი ურთიერთობის გაგრძელება დასაქმებულ შრომით იმიგრანტთან, უნდა მოითხოვოს შრომითი საქმიანობის უფლების ვადის გაგრძელება, კონკრეტულ შრომით იმიგრანტზე გაცემული შრომითი საქმიანობის უფლების ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე.

დამატებით, თუ დასაქმებულ შრომით იმიგრანტს შეუწყდა შრომითი საქმიანობის უფლება, მოცემულის თაობაზე ინფორმაცია ეგზავნება დამსაქმებელს. ასეთ შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია კონკრეტულ უცხოელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, შეტყობინების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში შეწყვიტოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგინოს "სავალდებულო ინფორმაცია". სავალდებულო ინფორმაციის ნუსხა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ცვლილებების ამოქმედებამდე უნდა განისაზღვროს.

შრომითი იმიგრანტის მიერ ანაზღაურებადი საქმიანობას განხორციელება შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე, შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა, ასევე შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის ცვლილება, შრომითი საქმიანობის უფლების განახლების გარეშე იწვევს ადგილობრივი დამსაქმებლის დაჯარიმებას.

,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება რიგ საგამონაკლისო

შემთხვევებში, რასაც ასევე ემატება მოქმედი საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე პირებიც. შესაბამისად, ასეთი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელი არ არის ვალდებული, გაიაროს რეგისტრაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და მოიპოვოს შრომითი საქმიანობის უფლება.

კანონის გარდამავალი დებულებით გათვალისწინებულია დამატებითი ვადა შრომის საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად. ის პირები, რომლებიც ამჟამად შრომით მიგრანტთა რეესტრში არიან რეგისტრირებულნი 2026 წლის 1-ლ მარტს, ცვლილებების ამოქმედების შემდგომ, ვალდებულნი იქნებიან 2027 წლის 1-ლ იანვრამდე უზრუნველყონ ახალ რეგულაციებთან შესაბამისობა.

საგულისხმოა, რომ სხვა ქვეყნების შრომით-საიმიგრაციო კანონმდებლობისგან განსხვავებით, ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' კანონი არ ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას, შრომითი იმიგრანტის დასაქმების შეწყვეტის შემდეგ სავალდებულოდ დაასაქმოს საქართველოს მოქალაქე.

2. *„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები*

ცვლილებები, რამდენიმე ეტაპად, შევიდა ,,უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ'' საქართველოს კანონში (შემდგომში ,,კანონი“).

მათ შორის, აღსანიშნავია, 2025 წლის 12 ივნისის ცვლილებები, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ბინადრობის ნებართვის ახალი სახე - ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში დასაქმებული პირის ბინადრობის ნებართვა.
აღნიშნული სახის ბინადრობის ნებართვა გაიცემა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რეგისტრირებულ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებულ შრომით იმიგრანტსა და მისი ოჯახის წევრებზე;
- უცხოელზე, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულია მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირად და ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საქმიანობას ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, და მისი ოჯახის წევრებზე;

ზემოთხსენებულ ორ კატეგორიაში შემავალმა პირებმა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა წარუდგინოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში შრომითი ან ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების არანაკლებ 2 წლის გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში შრომითი ან ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ანაზღაურების ოდენობა წლიურად 25 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტზე ნაკლები არ არის.

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მოქმედი საერთაშორისო კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და მისი ოჯახის წევრებზე. აღნიშნულ კატეგორიაში შემავალმა პირებმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა წარუდგინოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მოქმედი საერთაშორისო კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული სახის ბინადრობის ნებართვა პირველად გაიცემა 3 წლის ვადით. მისი მოქმედების ვადა კი შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 12 წლამდე, უცხოელის საქართველოში სავარაუდო ყოფნის ვადით, იმავე პირობებით, რომლებითაც თავდაპირველად გაიცა აღნიშნული ნებართვა.

რაც შეეხება, აღნიშნული ბინადრობის ნებართვის მოქმედების შეწყვეტის ვადას, იგი, მათ შორის, შეწყდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ ნებართვის მქონე პირი ფაქტობრივად არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღეს ან 183 დღეზე მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში. საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული პირის ფაქტობრივად ყოფნის დროდ ჩაითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც იგი იმყოფებოდა საქართველოში, აგრეთვე დრო, რომლის განმავლობაშიც იგი სპეციალურად იყო გასული საქართველოს ფარგლების გარეთ სამკურნალოდ.
ხსენებული ცვლილება ამოქმედდება 2025 წლის 1 სექტემბერს, რა დრომდეც, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, განსაზღვროს, მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროსთვის მიკუთვნებული საქმიანობების ჩამონათვალი, ასევე, ამავე სფეროში დასაქმებული პიროს ბინადრობის ნებართვის მაძიებლის მიერ საჭირო დოკუმენტების წარდგენის წესი და დოკუმენტების ჩამონათვალი და დაადგინოს ამავე პირის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის მონიტორინგის განხორციელების წესი.

ცვლილებები შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში 2025 წლის 26 ივნისსაც, რის

საფუძველსაც, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები წარმოადგენს.

ცვლილებების თანახმად, უცხოელი, რომელიც მოიპოვებს შრომითი საქმიანობის უფლებას, ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს D1 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზისა ან/და შრომითი ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად.

ამავდროულად, D1 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის და შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის ერთ-ერთ სავალდებულო კრიტერიუმად განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული შრომითი საქმიანობის უფლება.

3. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 13 მაისს ცვლილება შევიდა ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონში (შემდგომში ,,კანონი'')

ცვლილების მიხედვით შეიცვალა ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესი. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მითითებული კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს.

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით, სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის გზით. ცვლილებამდელი რედაქციით, საწვავი რესურსებისა და ენერგორესურსების (გარდა ნავთობისა და გაზისა), სამთო-ქიმიური ნედლეულის, არამადნეული ნედლეულის, საშენი მასალების მოსაპოვებლად, თუ მოსაპოვებელი ჯამური მოცულობა/წონა 500 000 (ხუთასი ათას) კუბურ მეტრს/ტონას არ აღემატებოდა, აგრეთვე მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოსაპოვებლად ლიცენზიის გაცემის თაობაზე აუქციონის გამართვის შესახებ ინფორმაციას ლიცენზიის გამცემი აუქციონის გამართვამდე არაუგვიანეს 15 დღისა აქვეყნებდა საკუთარ ვებგვერდზე.

აუქციონის სხვა ვებგვერდის საშუალებით გამართვის შემთხვევაში სავალდებულო იყო, ლიცენზიის გამცემს აუქციონის გამართვის თარიღამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა საკუთარ ვებგვერდზე გამოექვეყნებინა სათანადო ინფორმაცია, რომელშიც მითითებული უნდა ყოფილიყო აუქციონის გამართვის თარიღი და იმ ვებგვერდის მისამართი, რომლის საშუალებითაც გაიმართებოდა აუქციონი. აღნიშნული აუქციონის გამართვის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად შესაძლებელი იყო სხვა საშუალებების გამოყენებაც.

2025 წლის 13 მაისის კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ განისაზღვრა, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე აუქციონის გამართვის შესახებ ინფორმაციას ლიცენზიის გამცემი აუქციონის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა აქვეყნებს ვებგვერდზე www.eauction.ge. აღნიშნული ინფორმაციის გასავრცელებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სხვა საშუალებები.

ზემოხსენებული ცვლილება ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე, კერძოდ 2025 წლის 15 მაისს.

ზემოხსენებულ ინფორმაციასთან მიმართებით საყურადღებოა, ასევე 2025 წლის 28 მაისს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა იმავე დღეს. ცვლილების თანახმად, კანონის ტერმინთა განმარტებაში შევიდა ცვლილებები. კერძოდ, მნიშვნელობა შეეცვალა „სიგარაბარს“ და მისი მნიშვნელობა განისაზღვრა შემდეგნაირად: სპეციალური დაწესებულება, რომელიც მოწყობილია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვის საფუძველზე და რომელშიც დაშვებულია ამ კანონით გათვალისწინებული სიგარისა და სიგარილის მოწევა.

აგრეთვე, მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია იმ ადგილების ჩამონათვალი, სადაც ნებადართულია თამბაქოს მოწევა, შევიდა ცვილლება. ცვლილების მიხედვით, ნებადართულ ადგილთა სიას დაემატა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვის საფუძველზე მოწყობილი სიგარაბარი.

აგრეთვე ცვლილება შევიდა სიგარაბარის მოწყობის ნებართვისა და სანებართვო პირობების განმსაზღვრელ მუხლში, რის შესაბამისადაც, აკრძალულია სიგარაბარში ჩუქების, გაყიდვის ან გასინჯვის მიზნით მომხმარებლისთვის რაიმე პროდუქტის შეთავაზება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სიგარის, სიგარილისა და სასმლისა.

4. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 13 მაისს ცვლილებები შევიდა ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონში (შემდგომში ,,კანონი'').

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით, მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროებში საქმიანობას არეგულირებს კომისია. კანონი

ითვალისწინებს კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებს.

საყურადღებოა, რომ თუ კომისიის წევრის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვას, ვადიან თავისუფლების აღკვეთას ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ასევე თუ სასამართლო ამ კომისიის წევრს უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებს ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობს და სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან თუ აღნიშნული კომისიის წევრი თანამდებობიდან გადადგება ან გარდაიცვლება, საქართველოს პარლამენტი მითითებული გარემოების დადგომიდან 1 თვის ვადაში, ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

2025 წლის 13 მაისის ცვლილებამდე, კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს განიხილავდა საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი. ცვლილების საფუძველზე, აღნიშნული სტრუქტურის დასახელება ჩანაცვლდა შემდეგი სახელწოდებით - საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.

რაც შეეხება უშუალოდ პროცედურის დეტალურ მიმოხილვას, როგორც უკვე აღინიშნა, კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს შეისწავლის და განიხილავს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი, რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნას და მას პარლამენტის ბიუროს წარუდგენს. საქართველოს პარლამენტის ბიუროს კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი განსახილველად შეაქვს პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. საქართველოს პარლამენტი ვალდებულია კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი დაუყოვნებლივ განიხილოს. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე კენჭისყრის გამართვა დაუშვებელია. კომისიის წევრი მითითებული საფუძვლით თანამდებობიდან გათავისუფლებულად ითვლება, თუ შესაბამის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დამსწრე პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ.

ზემოხსენებული ცვლილება ძალაში შევიდა 2025 წლის 1-ლი ივლისიდან.

კანონში კვლავ განხორციელდა ცვლილებები 2025 წლის 12 ივნისს . აღნიშნული კანონი სიტყვისა და აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების შესაბამისად განსაზღვრავს მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიწოდების განხორციელების წესს, ამასთანავე, მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროებში ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შექმნის წესსა და მის ფუნქციებს, ამ სფეროებში საქმიანობის რეგულირების პირობებს.

აღსანიშნავია, რომ მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროებში საქმიანობას არეგულირებს კომისია. კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს (გამოსცემს) სამართლებრივ აქტებს. კომისიის სამართლებრივ აქტებს განეკუთვნება კომისიის დადგენილება, კომისიის გადაწყვეტილება და კომისიის თავმჯდომარის ბრძანება.

კანონი განსაზღვრავს, რომ კომისიის სამართლებრივი აქტი შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს მიერ სარჩელის მიღება არ გამოიწვევს კომისიის სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას, გარდა ამავე კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო ან იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს. კანონში განხორციელებული პირველი ცვლილება სწორედ რომ ამ საგამონაკლისო შემთხვევებს მიემართება. ძველი რედაქციით, ჯარიმა, რომელიც მაუწყებლის წლიური შემოსავლის 1%-ს და იმავდროულად 5 000 ლარს აღემატება, ან გადაწყვეტილება, რომელიც მაუწყებლის ავტორიზაციის შეჩერების/გაუქმების საკითხს ეხება, არ შეიძლება დაუყოვნებლივ აღსრულდეს. ასეთ დავასთან დაკავშირებით სასარჩელო წარმოების პროცესში სანქციის მოქმედება შეჩერდება. კანონის ახალი რედაქცია ჯარიმის ოდენობას აღარ უთითებს და განსაზღრავს, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მაუწყებლის ავტორიზაციის შეჩერების/გაუქმების საკითხს ეხება, არ შეიძლება დაუყოვნებლივ აღსრულდეს. ასეთ დავასთან დაკავშირებით სასარჩელო წარმოების პროცესში სანქციის მოქმედება შეჩერდება.

ზემოხსენებული კომისია უფლებამოსილია მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლისგან გამოითხოვოს, ხოლო მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია კომისიას სრულად და განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია. მიწოდებული დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს საქართველოს კანონმდებლობის, ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობების, ქცევის კოდექსისაა და საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელ ინფორმაციას. გარდა აღნიშნულისა, 2025 წლის 12 ივნისის შემდგომ დამატებით განისაზღრა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის (საბანკო საიდუმლოება) მოთხოვნის უფლებამოსილებაც.

საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს შემდეგი დანაწესიც, რომ მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის მიერ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ ან „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის კომისიისთვის მიუწოდებლობის ან არასრულად

მიწოდების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია გამოითხოვოს კომერციული ბანკისგან ან/და მიკრობანკისგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მითითებული ცვლილებები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2025 წლის 13 ივნისს.

5. „ინოვაციების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

ინოვაციების შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა, რამაც სტარტაპების სახელმწიფო ხელშეწყობის ახალი, დამატებითი მექანიზმები შექმნა (ძალაში შედის 25.09.2025-დან). ამ ცვლილებებით განისაზღვრა ტექნოლოგიური პარკის ცნება, რომელიც არის ინფრასტრუქტურული სივრცე და დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ტექნოლოგიურ, ინფრასტრუქტურულ და პროფესიულ სერვისებს. ასევე, კანონი განმარტავს აქსელერაციის ცნებას, როგორც ინოვაციების ხელშემწყობ მექანიზმს. ის ითვალისწინებს კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური სუბიექტის სამუშაო სივრცით უზრუნველყოფას, მისი ბიზნესიდეისა და მოდელის განვითარებასა და დახვეწას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, კონკურსის პირობებით განსაზღვრული ინვესტიციის განხორციელებას.

დამატებით, კანონით განისაზღვრა ინოვაციური სტარტაპი. ინოვაციური სტარტაპი არის სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც ქმნის ინოვაციურ პროდუქტს, ამუშავებს ინოვაციურ პროცესს ან/და აწარმოებს ინოვაციურ მომსახურებას. ამ სტატუსის მოსაპოვებლად, განაცხადის შეტანამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიას მოპოვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 100 000 ლარის ინვესტიცია საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზი ინვესტორების ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან, ან/და არანაკლებ 150 000 ლარის საგრანტო დაფინანსება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსგან. ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭება 1 წლის ვადით ხდება.

მნიშვნელოვანია, რომ ინოვაციური სტარტაპებისთვის დაწესდა სპეციალური შეღავათები. შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან პირველი 3 წლის განმავლობაში მათ მიერ გაცემული ხელფასი (დადგენილი ლიმიტის ფარგლებში) თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. მე-4 წლიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში კი, ხელფასი დაიბეგრება 5%-იანი საშემოსავლო გადასახადით, ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთიც 5% იქნება. მე-7 წლიდან მომდევნო 4 წლის განმავლობაში საშემოსავლო და მოგების გადასახადის განაკვეთები 10%-მდე გაიზრდება. მნიშვნელოვანია, რომ ინოვაციურ სტარტაპს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა შეღავათიანი სტატუსი, როგორიცაა საერთაშორისო კომპანიის ან ვირტუალური ზონის პირის სტატუსი. ასეთ შემთხვევაში, მას შესაბამისი სტატუსი უუქმდება. ამასთან, ინოვაციური სტარტაპის სტატუსით არაუმეტეს 10 წლის ვადით სარგებლობაა დასაშვები.

დამატებით განისაზღვრა ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსი, რომლის მისაღებად, კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების მოცულობა უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს და იმავე წელს მიღებული

შემოსავლების მინიმუმ 5%-ს. ამასთან კვლევისა და განვითარებისთვის ხარჯები კანონმდებლობის დამატებით მოთხოვნებს ექვემდებარება. საინტერესოა, რომ ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მინიჭება უვადოდ ხდება და მოქმედებს როგორც მესამე, ასევე მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის.

ინოვაციების სფეროსთვის იქმნება ინოვაციების რეესტრიც. ეს არის მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ინოვაციური სტარტაპების, მცირე და საშუალო კომპანიების, კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიების, ასევე საინვესტიციო ფონდების, ანგელოზი ინვესტორების ქსელებისა და აქსელერატორების შესახებ. ამ რეესტრის მიზანია, სისტემატიზაცია მოახდინოს და თვალსაჩინო გახადოს ინოვაციების ეკოსისტემის ყველა ძირითადი მონაწილე.

ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიებისთვისაც გათვალისწინებულია რიგი შეღავათები. მათ აქვთ უფლება, წინა ფინანსური წლიდან დაგროვებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა შეამცირონ წინა ფინანსურ წელს კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების სამმაგი ოდენობით. გარდა ამისა, მოგების რეინვესტირების შემთხვევაში, კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლონ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სხვა ხელშემწყობი მექანიზმებით.

შეღავათებით ისარგებლებენ კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი სტატუსის მქონე კომპანიებიც. მოცემული სტატუსი მიენიჭება ისეთ მეწარმეს, რომლის ძირითადი საქმიანობაც არის კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში. ამასთან, წინა ფინანსური წლის განმავლობაში, ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი უნდა შეადგენდეს კომპანიის ჯამური შემოსავლების არანაკლებ 80%-ს. მოცემული სტატუსის მქონე კომპანიის მიერ გაცემული ხელფასის საშემოსავლო გადასახადის და კომპანიის მოგების გადასახადიც 5%-იანი განაკვეთით დაიბეგრება.

ზემოაღნიშნული სტატუსების მისაღებად, განაცხადი წარედგინება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს. სააგენტო განაცხადს განსახილველად უგზავნის ეკონომიკის სამინისტროს და საბოლოოდ, სტატუსს, სამინისტროს წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობა ანიჭებს კონკრეტულ სუბიექტს.

ინოვაციური სტარტაპის სტატუსის შესანარჩუნებლად, სუბიექტი ვალდებულია ყოველწლიურად, სტატუსის ვადის ამოწურვამდე 30 დღით ადრე, სააგენტოს წარუდგინოს ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მის შესაბამისობას. ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის, ასევე კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტები ვალდებულნი არიან, ყოველი წლის 30 აპრილამდე, სააგენტოს წარუდგინონ წინა ფინანსურ წელს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია.

6. *„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები*

2025 წლის 13 მაისს ცვლილება შევიდა ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ'' საქართველოს ორგანულ კანონში (შემდგომში ,,ორგანული კანონი“).

ორგანული კანონი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ფუნქციებსა და საქმიანობის მიზნებს. საგულისხმოა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვეულებს. მას უფლება აქვს, დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, დამოუკიდებლად შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება და ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები.

2025 წლის 13 მაისის ცვლილებით, მოდიფიცირდა ეროვნული ბანკის ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული პროცედურა. ცვლილებამდელი რედაქციით, ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განსახორციელებლად საქართველოს პარლამენტი მსოფლიოს 4 უმსხვილესი აუდიტორული ფირმიდან არაუგვიანეს 1 ნოემბრისა ირჩევდა 1 აუდიტორულ ფირმას (აუდიტორს) არანაკლებ 2 და არაუმეტეს 4 წლის ვადით. კანონის ამჟამინდელი რედაქცია კი განსაზღვრავს, რომ ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განსახორციელებლად საქართველოს პარლამენტი მსოფლიოს 4 უმსხვილესი აუდიტორული ფირმიდან არაუგვიანეს 1 დეკემბრისა აირჩევს 1 აუდიტორულ ფირმას (აუდიტორს) არაუმეტეს 3 წლის ვადით. შერჩეულ აუდიტორულ ფირმას შესაძლებლობა ექნება, უწყვეტად მხოლოდ სამჯერ განახორციელოს წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირება.

ზემოხსენებული ცვლილება ამოქმედდა 2025 წლის 1-ლი ივლისიდან.

7. *„მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები*

2025 წლის 12 ივნისს ცვლილებები შევიდა ,,მიკრობანკების საქმიანობის შესახებ'' საქართველოს კანონში (შემდგომში ,,კანონი“). განხორციელებული ცვლილების საფუძველზე შეიცვალა საბანკო საიდუმლოების მომწესრიგებელი ნორმა. კანონი მკაცრად განსაზღვრავს, რომ არავის არ აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან პირადი სარგებლობისთვის გამოიყენოს იგი. კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოთ მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკსა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ საქართველოს ეროვნულ ბანკთან

არსებულ დავების განმხილველ კომისიას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

,,მიკრობანკების საქმიანობის შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით, ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), განხორციელებული გადახდის ოპერაციის, ანგარიშის, ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციისა და ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეს შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეს, გადახდის ოპერაციის განხორციელებისას – გადამხდელ პირს ან/და მიმღებ პირს, შესაბამისი ანგარიშის მფლობელს და მათ წარმომადგენლებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე – საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე – საგადასახადო ორგანოს, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს. ეს ინფორმაცია შეიძლება გაიცეს აგრეთვე სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე.

საყურადღებოა, რომ 2025 წლის 12 ივნისს განხორციელებულ ცვლილებამდე, კანონი არ ითვალისწინებდა საბანკო საიდუმლოების გადაცემის შესაძლებლობას სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიისათვის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, კერძოდ 2025 წლის 13 ივნისს.

8. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 12 ივნისს ცვლილება შევიდა ,,კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ'' საქართველოს კანონში (შემდგომში ,,კანონი“). კანონის მიხედვით, არავის აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან პირადი სარგებლობისთვის გამოიყენოს იგი. კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოთ მხოლოდ ეროვნულ ბანკსა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), განხორციელებული გადახდის ოპერაციის, ანგარიშის, ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციისა და ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეს შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეს, გადახდის ოპერაციის განხორციელებისას – გადამხდელ პირს ან/და მიმღებ პირს, შესაბამისი ანგარიშის მფლობელს და მათ წარმომადგენლებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე – საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე – საგადასახადო ორგანოს, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს. ეს ინფორმაცია შეიძლება გაიცეს აგრეთვე სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე.

2025 წლის 12 ივნისის სიახლეს წარმოადგენს საბანკო საიდუმლოების გადაცემის შესაძლებლობა სსიპ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიისათვის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ზემოხსენებული ცვლილება ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე, კერძოდ, 2025 წლის 13 ივნისს.

9. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 13 მაისს ცვლილება შევიდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (შემდგომში ,,ორგანული კანონი“), რაც ძალაში შევიდა ამავე თარიღზე.

აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოში აღნიშნული სარჩელის შეტანიდან 9 თვეს, ხოლო „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ისეთი პარტიის აკრძალვას, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება – გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოში აღნიშნული სარჩელის შეტანიდან 14 დღეს.

კონსტიტუციური სარჩელის, ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის 9 თვიანი ვადის დინება ჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამავე კანონით გათვალისწინებული ისეთი კონსტიტუციური სარჩელების განსახილველად მიღებიდან, როგორებიცაა ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელი, ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელი, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებიდან აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანამდე, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებიდან ამ

წარდგინებასთან დაკავშირებით დასკვნის ან გადაწყვეტილების გამოტანამდე.

იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის დროს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა კანონით განსაზღვრული სხვა სარჩელები, მისი განხილვის ვადა აითვლება არსებითი განხილვის პროცესში მყოფ სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

ცვლილების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადი საქმის განხილვა კოლეგიის განსჯადი საქმის განხილვაზე ადრე იწყება. საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშე განიხილავს ამ კანონით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხებს:

- პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი;
- დავა რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ;
- საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;
- საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;
- საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული სასამართლოს ხელისუფლებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მომწესრიგებელი ნორმებთან - ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;
- საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი.

ხოლო 2025 წლის 26 ივნისის ცვლილებით, ცვლილება შევიდა კანონის წინა რედაქციის ტერმინოლოგიაში. ახალი ცვლილების შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, რომელსაც მის საქმიანობასთან დაკავშირებული თავდასხმის შედეგად შესაძლებლობა შეეზღუდა, მიეცემა ფულადი დახმარება: შრომისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვისას – 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ხოლო შრომისუნარიანობის სრულად დაკარგვისას – 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ამავე ცვლილებით, განისაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობები:

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დადგენილი საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით შემდეგ სახელფასო კოეფიციენტზე:

- საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა – 10.00-ზე;
- საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა, საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნისა – 9.00-ზე;

- საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მოსამართლისა, რომელსაც არ უკავია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, ან თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა – 8.50-ზე.

ზემოაღნიშნული ორივე ცვლილება ძალაში შევიდა მისი მიღების დღესვე.

10. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 12 ივნისს ცვლილება შევიდა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში „კანონი“) , რომელიც ძალაში შევიდა ამავე დღეს.

ცვლილების შესაბამისად, დამატება გაკეთდა ტერმინ „გრანტის“ განმარტებაში. ახალი რედაქციით, გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარების ან სოციალური პროექტის, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამის განხორციელებისთვის.

კანონს აგრეთვე დაემატა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, „გრანტად მიიჩნევა აგრეთვე ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მიზნის მისაღწევად ამ კანონით გათვალისწინებული ისეთი გრანტის გამცემის (დონორის) მიერ, როგორიცაა: საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია, კომიტეტი), სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, აგრეთვე უცხო ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა, უცხოეთის სამეწარმეო (თუ გრანტის მიმღები არის სახელმწიფო ან საქართველოს მთავრობა) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ამავე კანონით გათვალისწინებული გრანტის მიმღებისათვის გაწეული ტექნიკური დახმარება ტექნოლოგიების, სპეციალიზებული ცოდნის, უნარების, ექსპერტიზის გაზიარების ან/და სხვა სახის დახმარების ფორმით.

აგრეთვე, ცვლილება შევიდა გრანტის გამცემის (დონორის) განსაზღვრებაში. ახალი რედაქციის შესაბამისად, გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს: საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია, კომიტეტი), სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, აგრეთვე უცხო ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა, უცხოეთის სამეწარმეო (თუ გრანტის მიმღები არის სახელმწიფო ან საქართველოს მთავრობა) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ცვლილება შევიდა აგრეთვე გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველის განსაზღვრებაში. ახალი რედაქციის თანახმად, გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველია გრანტის გამცემსა (დონორსა) და გრანტის მიმღებს შორის წერილობითი ხელშეკრულება

(განურჩევლად იმისა, იგი ერთი დოკუმენტით არის წარმოდგენილი თუ რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით, და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა), აგრეთვე უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) წერილობითი გადაწყვეტილება, მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის ოფიციალური წერილობითი გადაწყვეტილება საქართველოს სპორტული ფედერაციისთვის ან კლუბისთვის მიზნობრივი დანიშნულების მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების (მათ შორის, ფულადი სახსრების) გამოყოფის შესახებ. აღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს გრანტის გაცემის მიზანი, მისი მოცულობა, სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულება, მათი ათვისების ვადები და ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც გრანტის გამცემი (დონორი) უყენებს გრანტის მიმღებს.

აგრეთვე მუხლს, რომლითაც მოწესრიგებულია უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის წესი, დაემატა ჩანაწერი, რომლის შესაბამისადაც უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის გაცემაზე ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ან/და საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი წესები.

ცვლილება შევიდა აგრეთვე ამავე მუხლით განსაზღვრული წესის საგამონაკლისო პირობებში, რის მიხედვითაც, ამ კანონით დადგენილი წესი, რომელიც ეხება გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისთვის გრანტის გაცემისათვის საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობის საჭიროებას, არ ვრცელდება საერთაშორისო სპორტული ასოციაციის, ფედერაციისა და კომიტეტის მიერ გაცემულ გრანტებზე, საქართველოს ფარგლების გარეთ ზოგადი განათლებისა და უმაღლესი განათლების მიღებისა და სამეცნიერო მუშაობისთვის გაცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ დახმარებაზე, აგრეთვე ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის „ჰორიზონტი ევროპა“ („Horizon Europe“), ევროკავშირის პროგრამის „ერაზმუს+“ („Erasmus+“) ფარგლებში, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ და საქართველოსა და ევროკავშირს შორის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ („Creative Europe“) ფარგლებში გაცემულ გრანტებზე.

ცვლილებით ამავე მუხლში გაკეთდა დამატება, რის მიხედვითაც უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის საქართველოს მთავრობასთან ან მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირთან/ორგანოსთან შეთანხმების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

11. „შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 26 ივნისს ცვლილება შევიდა „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში „კანონი“) რომელიც ძალაში ამავე დღეს.

აღნიშნული ცვლილებით ცვლილება შევიდა მუხლში, რომელიც აწესრიგებს შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანს,

ფუნქციებსა და მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

ცვლილების შესაბამისად, შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებზე, თუ ამ კანონით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემებში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობებით.

12. „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 26 ივნისს ცვლილება შევიდა ,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ'' საქართველოს კანონში (შემდგომში ,,კანონი“). ცვლილების თანახმად, კანონს დაემატა მუხლი, რომლითაც განისაზღვრა სანქცია გარემოსათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში: უკანონო ქმედებით გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, გარდა გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელების ფარგლებში გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისა – გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 40 000 ლარიდან 80 000 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით. გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელების ფარგლებში გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება – გამოიწვევს საქმიანობის განმახორციელებელი პირის დაჯარიმებას 50 000 ლარიდან 100 000 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით.

ცვლილებით, სამართალდამრღვევს ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა. ცვლილება აგრეთვე შეეხო ამ კანონით განსაზღვრულ დანართ 1-ს, რომლითაც განსაზღვრულია მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. ცვლილების შესაბამისად, ,,მიწის" ზიანის განმსაზღვრელ კრიტერიუმს მიეკუთვნა შემდეგი შემთხვევა: ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელ ქიმიურ ნივთიერებათა კონცენტრაცია 10-ჯერ ან მეტჯერ აღემატება დადგენილ ნორმებს. ამასთანავე, დამაბინძურებელი ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალი და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები განისაზღვრება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ცვლილების შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედებამდე მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ქმედების ჩამდენი პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის

დაკისრებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადის დინება დაიწყება 04 ივლისიდან.

ამავე ცვლილებით განისაზღვრა, რომ საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარდგინებით უნდა უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე აქტის ამ კანონთან შესაბამისობა.

ზემოხსენებული ცვლილებები ამოქმედდა 2025 წლის 4 ივლისს

13. ,,ნარჩენების მართვის კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 26 ივნისს ცვლილებები შევიდა ,,ნარჩენების მართვის კოდექსში".

აღნიშნული ცვლილებით გარკვეული დამატებები გაკეთდა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაციის საკითხის მარეგულირებელ ნორმაში, რის შესაბამისად, რეგისტრაციას ექვემდებარება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული შემდეგი საქმიანობები:

- ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება;
- 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება;
- წელიწადში 100 ტონამდე არასახიფათო ნარჩენის წინასწარი დამუშავება;არანაკლებ 2 ტონა და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება;
- ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება;
- წელიწადში 10 ტონამდე არასახიფათო ნარჩენის აღდგენა/განთავსება;
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა

მუხლს, რომელიც არეგულირებს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების დარღვევის შემთხვევებს, დაემატა ჩანაწერი, რის შესაბამისადაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული იმ საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე განხორციელება, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, – გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

ზემოხსენებული ცვლილებები ამოქმედდება 2025 წლის 1-ლ ოქტომბერს.

14. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 26 ივნისს ცვლილება შევიდა გარემოსდაცვის შეფასების კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა იმავე დღეს.

2025 წლის 26 ივნისის ცვლილებით, ცვლილება შევიდა ტერმინთა განმარტებაში. ახალი რედაქციით, ტერმინტთა მნიშვნელობას დაემატა

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების მნიშვნელობა, რომლის მნიშვნელობადაც განისაზღვრა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას, ექსპლუატაციის პირობების შეცვლას ან/და წარმადობის გაზრდას. ექსპლუატაციის პირობის ცვლილებად მიიჩნევა აგრეთვე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ადგილის გაფართოება, თუ შესაბამისი ტერიტორია საჭიროა საქმიანობის განხორციელებასთან ტექნიკურად ან/და ფუნქციურად დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განსათავსებლად.

ამავე ცვლილებით, ტერმინთა განმარტებიდან ამოღებულ იქნა ,,სამინისტროს" მნიშვნელობა და ცვლილება შევიდა ტერმინი ,,სკრინინგის" მნიშვნელობაში. ახალი რედაქციით, მისი მნიშვნელობა განისაზღვრა, როგორც პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დოკუმენტისთვის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების, ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-ის ჩატარებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენის საჭიროებას.

ცვლილება შევიდა აგრეთვე მუხლში, რომელიც აწესრიგებს გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში სააგენტოს კომპეტენცის საკითხებს. ცვლილების შესაბამისად, გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება: სკრინინგის პროცედურის საფუძველზე ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-ის ჩატარების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის ჩატარების საჭიროების განსაზღვრა; აგრეთვე, გზშ-ის ანგარიშის, სგშ-ის ანგარიშის, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნა; აგრეთვე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის, აგრეთვე ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო განხილვების ჩატარების უზრუნველყოფა.

ცვლილებით ამოღებულ იქნა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ცენტრის კომპეტენციას განეკუთვნება ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობისა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო განხილვების ჩატარების უზრუნველყოფა.

კანონის ზოგად დებულებებში შეტანილი ცვლილებების მიხედვით კი, სააგენტოსა და საქმიანობის განმახორციელებელს მიენიჭათ შემდეგი უფლებები:

სააგენტო უფლებამოსილია საქმიანობის განმახორციელებლის თანხმობით შეცვალოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ საქმიანობის ადგილას არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშში/გათავისუფლების დოკუმენტაციაში ასახულ გარემოებებს ან გარემოზე ზემოქმედება სრულად არ არის შეფასებული.

საქმიანობის განმახორციელებელს შეუძლია სააგენტოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით და მოითხოვოს გარემოსდაცვითი პირობის შეცვლა, თუ არსებული პირობა ვერ უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილებას ან შემცირებას, ან უფრო ეფექტიანი პირობის დაწესება აუცილებელია.

სააგენტო ასევე უფლებამოსილია შეცვალოს გადაწყვეტილება ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ მასში განსაზღვრულია გარემოს კომპონენტების დამატებითი შესწავლის ვალდებულება და კვლევის შედეგები ცვლილების საჭიროებას აჩვენებს.

სააგენტო ვალდებულია, ცვლილებების შესახებ წარმოების დაწყებიდან 3 დღეში განთავსოს შესაბამისი განცხადება/დოკუმენტები გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოებას აქვს უფლება 15 დღის განმავლობაში წარმოადგინოს მოსაზრებები და შენიშვნები, ხოლო სააგენტო მათ განიხილავს და შესაბამის შემთხვევაში გაითვალისწინებს.

15. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2025 წლის 26 ივნისს განხორციელდა ცვლილება. ცვლილების შესაბამისად, სასამართლოში ცილისწამებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა ახალ წესებს დაექვემდებარა.

ცილისწამების საქმეზე სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა დასაშვებია 100 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც პირი გაეცნო ან შეეძლო გასცნობოდა იმ განცხადებას, რომელიც ცილისწამებად მიაჩნია. ამასთან დადგინდა ასეთი სარჩელის წარმოებაში მიღების დაჩქარებული - 3 დღიანი ვადა. იგივე ვადა არის დადგენილი სასამართლო განჩინების საჩივრის განხილვისთვის. ცვლილებები არ შეეხება იმ სარჩელებს თუ საჩივრებს, რომლებიც შეტანილია კანონის ამოქმედებამდე.

ზემოხსენებული ცვლილება ამოქმედდა 2025 წლის 27 ივნისს.

16. „საერთო სასამართლოების შესახებ " საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

„საერთო სასამართლოების შესახებ " საქართველოს კანონში (შემდგომში „კანონი") ცვლილება შევიდა 2025 წლის ივნისში. ცვლილებებით ფოტო-ვიდეო გადაღება სრულად აიკრძალა სასამართლოს ტერიტორიაზე. გამონაკლისის სახით, კონკრეტული სასამართლო პროცესის გადაღება თუ ტრანსლაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას საჭიროებს. ამასთან, პასუხისმგებლობა

მოსამართლის უპატივცემულობაზე გავრცელდება ნებისმიერ პირზე და ნებისმიერ ვითარებაში, სასამართლოს სხდომის დარბაზის და ტერიტორიის მიღმაც.

შიდა-ორგანიზაციული საკითხების მომწესრიგებელი რიგი ნორმები ძალაში შევა 2025 წლის პირველი სექტემბრიდან, ხოლო დანარჩენი ცვლილებები კი 2025 წლის 27 ივნისიდან ძალაშია.

17. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 2 ივლისს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში ,,კანონი").

ცვლილებების მიხედვით განისაზღვრა, რომ 2025 წლის 1-ლი სექტემბრიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სახელმწიფოში იმპორტის უფლება ექნება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე იმ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/ სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემოდგომში ,,მინისტრი") უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტის განხორციელების უფლება მიანიჭოს სხვა იურიდიულ პირს.
გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ ზემოხსენებული შეზღუდვა ასევე გავრცელდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საბითუმო რეალიზაციის უფლებაზეც. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც მითითებული უფლებამოსილება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის ხელთ იქნება. რეალიზაციასთან დაკავშირებული ცვლილება ძალაში შევა 2025 წლის 1-ლი ოქტომბრიდან.

2025 წლის 2 ივლისს კანონში განხორციელებული ცვლილებები შეეხო ასევე ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობის განმახორციელებულ სუბიექტებსაც. ამავე წლის 15 აგვისტოდან ამოქმედდა საკანონმდებლო დათქმა, რომლის მიხედვითაც ზემოხსენებული მკურნალობის განხორციელების უფლება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ პირს ექნება. ამჟამად აღნიშნული უფლებამოსილება გააჩნია შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს'', ასევე კიდევ 8 სუბიექტს.

2025 წლის 1 ოქტომბრამდე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტის განხორციელების უფლება აქვს იმ იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) წარუდგენს ამ კანონის გამოქვეყნების თარიღამდე, 2025 წლის 2 ივლისამდე, დადებულ შესაბამისი ნარკოტიკული საშუალების/ ფსიქოტროპული ნივთიერების შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

ამ კანონის გამოქვეყნებიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში იმპორტირებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საბითუმო რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ სააგენტოს თანხმობით. თანხმობის გაცემის წესს ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

ცვლილებების მიხედვით, დასაშვებია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზატორების მიერ 2025 წლის 15 აგვისტოსთვის მათ მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მარაგების სასყიდლით (შესყიდვის, საქართველოში იმპორტისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებისას გადახდილ თანხას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, დამატებული 10 პროცენტი) გადაცემა იმ იურიდიული პირისთვის, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/ სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის განმახორციელებელი იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/ სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ, 2029 წლის 1 იანვრამდე თავისუფლდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვის მიღების ვალდებულებისგან.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,

ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,

სართული IV, ოფისი 28

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)

მობილური: (+995) 555 018585

ელ-ფოსტა: info@nplaw.ge

www.nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS